



აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ ევროკავშირის
ქმედითი სტრატეგიაა საჭირო

ავტორები: პაატა გაფრინდაშვილი, მარიამ წიწიკაშვილი



2009 წელს შექმნილმა აღმოსავლეთ პარტნიორობამ ევროკავშირისა და ექვსი პარტნიორი ქვეყნის (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა) კიდევ უფრო დაახლოებას შეუწყო ხელი. მიუხედავად ამ პროცესში არსებული მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო გამოწვევებისა, აღნიშნულმა პოლიტიკამ ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებთან სტაბილურობის, კეთილდღეობისა და მედეგობის ზრდის ხელშეწყობის უნარი გამოავლინა.

აღმოსავლეთ პარტნიორობა თითოეული პარტნიორის ინტერესების, ამბიციებისა და პროგრესის გათვალისწინებით განვითარდა. მის ფარგლებში სამ პარტნიორ ქვეყანასთან (საქართველო, უკრაინა, მოლდოვის რესპუბლიკა - ევროკავშირთან ასოცირებული ტრიო) ასოცირების ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასა და უვიზო მიმოსვლის რეჟიმსაც მოიცავს; სომხეთთან ყოვლისმომცველი და გაფართოებული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, ხოლო აზერბაიჯანსა და ბელარუსთან ურთიერთობაში კი სპეციალურად ამ ქვეყნებზე მორგებული თანამშრომლობა განვითარდა. აღმოსავლეთ პარტნიორობამ შედეგები ყველასთვის გამოიღო: ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ვაჭრობა თითქმის გაორმაგდა, რამაც აღნიშნული ქვეყნების ჯგუფი ევროკავშირის რიგით მეათე დიდ სავაჭრო პარტნიორად აქცია. მისი მეშვეობით 250,000 სამუშაო ადგილის შექმნა ან მათი შენარჩუნება მოხერხდა, ხოლო 125,000-ზე მეტმა მცირე და საშუალო ბიზნესმა ევროკავშირის პირდაპირი დაფინანსებით ისარგებლა.[1]

კრიზისული მდგომარეობა მეგობრობის შესაფასებლად საუკეთესო ტესტია, რომელიც ევროკავშირმა, კორონავირუსის პანდემიის დროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის დახმარების ხელის დროულად გაწვდენით, წარმატებით ჩააბარა. ევროკომისიამ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის სწრაფი დახმარების პაკეტის მობილიზება მოახდინა, რომელიც გადაუდებელი საჭიროებებისთვის 80 მილიონ ევროს, ხოლო მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის მხარდასაჭერად 900 მილიონ ევრომდე თანხას მოიცავს.[2]

მომავალში აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირისთვის, პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კუთხით კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანსაც კი, ვიდრე დასავლეთ ბალკანეთი. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ტრანსფორმაციისა და დემოკრატიზაციის კუთხით მიღწეული წარმატება ევრაზიის კონტინენტზე მდებარე სხვა სახელმწიფოებისთვის დადებითი მაგალითის მიმცემი იქნება, რომ არაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ევროკავშირის ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელ ცენტრალურ რგოლს წარმოადგენენ.



ევროკავშირის ერთობლივი კომუნიკე - ახალი გრძელვადიანი პოლიტიკის მიზნები?

2020 წლის 18 მარტს, ევროკომისიამ და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკაში უმაღლესმა წარმომადგენელმა წარმოადგინეს ინიციატივა, რომელიც, აღმოსავლეთ პარტნიორობასთან მიმართებით, 2020-ის შემდეგ დასახულ ახალი პოლიტიკის მიზნებს შეიცავს.[3] რასაც მოგვიანებით ევროპული საბჭოს დასკვნამ[4] დაუჭირა მხარი. 2020 წლის 19 ივნისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ლიდერებმა პარტნიორობის ახალ გრძელვადიანი პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტს მხარდაჭერა გამოუცხადეს. ერთობლივი კომუნიკე, ისევე როგორც საბჭოს შეფასებები ყურადღებას კვლავ ეკონომიკასა და კარგ მმართველობაზე ამახვილებენ, ხოლო ეკოლოგიური და ციფრული ტრანსფორმაციის მიმართ უფრო მეტ მხარდაჭერას გამოხატავენ.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი პოლიტიკის პრიორიტეტები ძალიან ჰგავს 2017 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე განსაზღვრულ პრიორიტეტებს, მასში გაწერილი ზომები, მმართველობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე პასუხების უკეთ გაცემის შესაძლებლობას იძლევა. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ერთობლივი კომუნიკეს მიხედვით, პარტნიორობისადმი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა მათ მიერ კანონის უზენაესობის გაძლიერების კუთხით გატარებული რეფორმებითა და მიღწეული პროგრესით განისაზღვრება.[5] ამასთან, ევროკავშირი იღებს ვალდებულებას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მიღწეული პროგრესის შესაფასებლად, მონიტორინგის უფრო ძლიერი მექანიზმები შექმნას და შემოწმებადი კრიტერიუმები განსაზღვროს. ამგვარ სტიმულებზე დაფუძნებულ მიდგომასა და გაზრდილ ზედამხედველობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ტრანსფორმაციული ეფექტის გაძლიერება შეუძლია, რისი მიღწევაც, კანონის უზენაესობის კუთხით, „20 შედეგი 2020 წლისთვის“ სამოქმედო გეგმის ფარგლებში საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით განახლებული დღის წესრიგის ფარგლებში, ევროკავშირი პარტნიორი ქვეყნების მიერ ერთიანი ევრო გადახდების სივრცეში (SEPA) შესვლისკენ მიმართული ძალისხმევის მხარდაჭერას ითვალისწინებს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის ახალი ჩარჩო დოკუმენტი ევროკავშირს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაზრდისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ინოვაციური და ჰკვიანი დაფინანსების პროგრამის შემუშავებისკენ მოუწოდებს. ევროკავშირის მზაობა, დაეხმაროს პარტნიორ სახელმწიფოებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში და მაკროფინანსური მხარდაჭერის მეშვეობით სტრუქტურული რეფორმები წახალისოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკურ ჭრილში არსებული მიზნების მხარდაჭერი კიდევ ერთი ვალდებულებაა.

ციფრული ტრანსფორმაციის კონტექსტში, რომელიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა გამოყოფილი, ევროკავშირი იღებს ვალდებულებას, განავრცოს უსაფრთხო და მაღალი გამტარობის ოპტიკური ინფრასტრუქტურა აღმოსავლეთ თანამშრომლობის სივრცეში და მხარი დაუჭიროს პარტნიორობის ქვეყნებს შორის როუმინგისა და სიხშირეების



შეთანხმებებს. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი ამ ქვეყნებთან უფასო როუმინგის რეჟიმს ჯერ კიდევ არ ქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი განიხილება როგორც „ახალი“, რეალურად, ის ძალიან ცოტა სიახლეს მოიცავს: ერთადერთი ახალი ინიციატივა, რომელსაც მასში ვხვდებით „შეთავაზება ახალგაზრდებისათვისა“ და ის, სხვა საკითხებთან ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ახალგაზრდა პროფესიონალებისათვის მობილობისა და გაცვლითი პროგრამების შექმნას გულისხმობს. საერთო ჯამში, შემოთავაზებულ პოლიტიკის მიზნებს სტრატეგიული და ჭეშმარიტად მომავალზე ორიენტირებული ხედვა აკლია, რაც ევროკავშირსა და პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობასა და ინტეგრაციის პროცესს, ევროკავშირის საკუთარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესების კონტექსტში, რეალურ პრიორიტეტად აქცევდა. კერძოდ, ახალი სამოქმედო გეგმა, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და სამ ასოცირებულ ქვეყანას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრივ ტრიოს (საქართველო, უკრაინა, მოლდოვის რესპუბლიკა) შორის პარტნიორობის გაღრმავების პროცესის მხარდაჭერას ვერ უზრუნველყოფს.

დროა დასავლეთ ბალკანეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონებისადმი ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბდეს

აღმოსავლეთ პარტნიორობა ამ ეტაპზე პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებას არ ითვალისწინებს. აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ახალი ჩარჩო დოკუმენტის გამოქვეყნებამდე ერთი თვით ადრე, ევროკომისიამ მსგავსი კომუნიკე დასავლეთ ბალკანეთის შესახებაც გამოსცა.[6] კომუნიკე ადასტურებს ფაქტს, რომ გაწევრიანების რეალური პერსპექტივა დასავლეთ ბალკანეთის დემოკრატიული ტრანსფორმაციის მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორია. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის მსგავსი პერსპექტივის მნიშვნელობას კვლავ უგულვებელყოფს. პოლიტიკის ახალ ჩარჩო დოკუმენტს, პარტნიორების მხრიდან ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელების ვალდებულების განახლების გზით, შეუძლია და ხელი უნდა შეუწყოს პარტნიორობის წევრი სახელმწიფოების ევროკავშირში ეტაპობრივი ინტეგრაციის პროცესს. მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნის არ არსებობის გამო, ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აქამდე მიღწეულ პროგრესსაც საფრთხეში აგდებს. ამ კონტექსტში, სწორედ ევროპულ პერსპექტივას შეუძლია ითამაშოს კატალიზატორის როლი პარტნიორ ქვეყნებში სრულფასოვანი დემოკრატიზაციისა და მეტი რეფორმების განხორციელების კუთხით, როგორც ეს ევროპარლამენტმა ევროკომისიისა და ევროპული საბჭოს მიმართ მომზადებულ რეკომენდაციებში ასახა.[7]

2020 წლის 18 ივნისს გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერთა ვიდეო კონფერენციის მთავარი შედეგი შემდეგი სამიტის 2021 წლის მარტში გამართვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება აღმოჩნდა, რომელზეც ლიდერები ხუთ პოლიტიკურ პრიორიტეტს მხარს საერთო დეკლარაციის მიღებით კვლავ დაუჭერენ. თუმცა,



აღნიშნულ სამიტზე მიღებული დეკლარაცია იმაზე უფრო შორს უნდა წავიდეს, ვიდრე ეს აღნიშნული ხუთი პრიორიტეტია. ევროკავშირმა უნდა განსაზღვროს ამოცანები და გამოყოს მკაფიო მიზნები, როგორც მან ეს 2009-2017 წლის პერიოდში განახორციელა.

ეს უნდა ითვალისწინებდეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების უწყვეტ და ეფექტურ განხორციელებას და იურიდიულ, ეკონომიკურ და ტექნიკურ რეგულაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას, რაც ევროკავშირის ერთიანი ბაზრის თანდათანობით გახსნასა და საერთო ეკონომიკური სივრცის დამკვიდრებას, ამასთან საერთო ინტერესის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში ინტეგრაციას გამოიწვევს, როგორებიცაა, ტრანსპორტი, დიჯიტალიზაცია ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ევროპარლამენტის ახალი რეზოლუცია მხარს უჭერს მსგავსი მიდგომის გამოყენებას, იძლევა რეკომენდაციას ევროკავშირის მიერ პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით და ამ გზაზე დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში მიღებული გამოცდილების გამოყენებას გულისხმობს.

თავის მხრივ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ მათ შორის ინკლუზიურ რეგიონულ თანამშრომლობას და ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებზე დაყრდნობით, უნდა გააღრმავონ რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაცია, რისი მეშვეობითაც რეგიონი და ადგილობრივი კომპანიები ევროკავშირის საერთო ბაზარს დაუახლოვდებიან. აღნიშნული სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ ამ ქვეყნების მოქალაქეებს, არამედ შესაძლებელს გახდის რეგიონის საერთო პოზიციონირებას, რომელიც უფრო ძლიერი და დამაჯერებელი იქნებოდა, ვიდრე ევროკავშირში გასაწევრიანებლად ცალკეული ქვეყნების მიერ დამოუკიდებლად გაწეული ძალისხმევა.

მომავალი ათწლეულის განმავლობაში რუსეთი და სხვა მანვე აქტორები რეგიონში და სხვაგან საკუთარი არალეგიტიმური გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებას კიდევ უფრო მეტად შეეცდებიან. როგორც ევროკავშირში ფართოდაა აღიარებული, დასავლეთ ბალკანეთის მიმართ ქმედითი სტრატეგიის არ არსებობა, ევროკავშირისადმი დადებითი დამოკიდებულების შემცირებასა და რეგიონში ნაციონალისტური ძალების გაძლიერებას შეუწყობდა ხელს, რაც მესამე ძალას, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი, რეგიონის ქვეყნებზე გავლენის მოხდენის ბერკეტებს მისცემდა. აღნიშნული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან დაკავშირებით კიდევ უფრო რელევანტურია. ამიტომ, რუსეთთან სტრატეგიული დიალოგის გამართვის იდეა, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა გასულ წელს გააჟღერა, კრემლისათვის „ევროკავშირის გაფართოების შეჩერებაზე გარანტიებს“ არ უნდა მოიცავდეს. ასეთი დიალოგის შემთხვევაში, ის სამეზობლოში ევროკავშირის სტრატეგიულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ამგვარად, ევროკავშირმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჰაიკო მასის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ახალი ოსტპოლიტიკა“ უნდა შეიმუშავოს, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობისთვის ახალ გზებს ევროპის ყველა სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით გამოძებნის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ურთიერთობას „რუსული ფაქტორისგან“ დამოუკიდებლად წარმართავს.

2018 წლის აგვისტოში, გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა საქართველოში ვიზიტისას, საქართველო და უკრაინა იმ ქვეყანათა წყვილად დაასახელა, ვისთანაც ევროკავშირმა



მოლაპარაკებები, შესაძლოა, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნების კავშირში გაწევრიანების შემდეგ დაიწყოს.[8] ევროკავშირის (საბჭოს) პრეზიდენტობის პერიოდში, გერმანიამ აღნიშნული პოზიცია ოფიციალურად უნდა დააფიქსიროს და აღმოსავლეთ პარტნიორობას ახალი დინამიურობა შესძინოს. აღმოსავლეთ პარტნიორობა მხოლოდ შეთავაზებად არ უნდა დარჩეს, ის სრულფასოვან ევროპულ პოლიტიკად უნდა გადაიქცეს, რაც ევროკავშირის რეპუტაციისთვის, ასევე რეგიონში და მის გარეთ ევროკავშირის გავლენის ზრდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.



წყაროები:

- [1] Joint Communication: Eastern Partnership Policy Beyond 2020: Reinforcing Resilience – An Eastern Partnership that Delivers for All. Available at https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/76166/joint-communication-eastern-partnership-policy-beyond-2020-reinforcing-resilience-%E2%80%93-eastern_en
- [2] The EU's response to the coro-na-vi-rus pan-de-mic in the Eastern Part-ners-hip. Available at https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/coronavirus_support_eap.pdf
- [3] Eastern Partnership: Commission Proposes New Policy Objectives for Beyond 2020. Available at https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_20_452
- [4] Eastern Partnership Policy Beyond 2020: Council Approves Conclusions. Available at <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2020/05/11/eastern-partnership-policy-beyond-2020-council-approves-conclusions/>
- [5] Eastern Partnership Policy Beyond 2020: Reinforcing Resilience – an Eastern Partnership that Delivers for All. Available at https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/1_en_act_part1_v6.pdf
- [6] The European Commission, “A More Credible, Dynamic, Predictable and Political EU Accession Process – Commission Lays Out its Proposals”. Available at https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_20_181
- [7] European Parliament recommendation to the Council, the Commission and the Vice-President of the Commission / High Representative of the Union for Foreign Affairs and Security Policy on the Eastern Partnership in the run-up to the June 2020 Summit. Available at https://www.europarl.europa.eu/doceo/document/A%E2%80%9319%E2%80%932020-0112_EN.html
- [8] Paata Gaprindashvili and Mariam Tsitsikashvili. “Ten Years Since the Russian-Georgian War: A New German ‘Ostpolitik’ is Needed”. Available at <http://iep-berlin.de/blog/10-years-since-the-russian-georgian-war-a-new-german-ostpolitik-is-needed/>